ტელეფონი მესამე — ფასი 7 კაპ. — ხუთშაბათი, 9 მარტი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი ... პირველ გვერდზე ... სტრიქონი 50 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 მ. ელირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებითი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 54 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 54

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის რევოლუცია

## ქართველებო, შეგნებულად, შეერთებულად, დინჯად!

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.**

პარტიის მთავარი კომიტეტი.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში.

## მოწოდება

**ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ეხწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფხო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კართოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ ხიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.**

## გაერთიანებისაკენ

დიდი და რთული ამბების ხანაა. მიმდინარე წუთები თანაბრად ატარებენ ბრწყინვალე იმედებსა და შავს განსაცდელს. ერთი ისე ვერ მოგიცავს, რომ მეორე მყისვე არ გამოეცხადოს. გამოუცნობ დროსა და სივრცეში მისცურავს დიდ რუსეთთან ერთად ჩვენი საყვარელი სამშობლოც. ასეთი დრო და გარემოება რამდენიმე საუკუნეში მხოლოდ ერთხელ დგება. შორეულ წარსულში მზგავს მოვლენების განცდა დროთა მანძილში იკარგება და ქვეყანა ყოველთვის გამოუცდელი ხვდება ასეთ დიდსა და არაჩვეულებრივ მოვლენებს. შეიძლება, ქვეყანამ სამშვიდობოს გააღწიოს და თავისი მარადიული მისწრაფებანი განახორციელოს, შეიძლება კიდევ უბედურებამ და შავბნელმა ძალამ მოუსწროს და ქვეყანაც თავის მისწრაფებიანა სისხლში ჩაახრჩოს. ასეთ ქარიშხლიან დროს ქვეყნის ბედი ბეწვზე ჰკიდია. ერთი კაცის გაუფრთხილებელი და აჩქარებული ნაბიჯიც კი საკმარისია, რომ ქვეყანას თავს გამოუსწორებელი უბედურება დაატეხოს. და ასეთ დროს გამოყოფილად გამოსვლა და ჯგუფ ჯგუფად მოქმედობა დიდი დანაშაულია სამშობლოს წინაშე. რა კაცი, ან რა პარტია უნდა იყოს ისეთი, რომ თავს იდოს ასეთი ტვირთი და მთელი ქვეყნის წინაშე თავის პასუხისმგებლობას არ შეუშინდეს? შეიძლება ერთი ჯგუფის ან პარტიის მოქმედება თავის თავად წინდაწინ სათანადოდ ვერ შეეწყოს მეორე ჯგუფის თუ პარტიის მოქმედებას, და ერთმა მეორე ძალაუნებურად გააბათილოს და ერთის წახდენილი საქმე მეორემ ვერ გამოაკეთოს და ამ წახდენილმა საქმემ კი მთელი ქვეყანა თან გადაიყოლიოს. ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში, მის ავსა და კარგში, ზეიმსა და უბედურებაში მონაწილეობა ყველამ უნდა მიიღოს. ყველას ერთად უნდა აწვეს საერთო საქმის პასუხისმგებლობა, ყველამ ერთად უნდა გადასწყვიტოს გადასადგმელი ნაბიჯი, ყველას ერთნაირად უნდა დააწვეს გასაკეთებელი საქმის სიმძიმე და ყველა ერთნაირად უნდა იყოს პასუხისმგებელი ქვეყნის წინაშე, ასეთ საერთოდ გადადგმული ნაბიჯისათვის. ამისთვის საჭიროა წინასწარი შეთანხმება. ყველა საქართველოში მომქმედი პარტია მოვალეა ანგარიში გაუწიოს ამ იშვიათ დროს, როდესაც, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც სწყდებოდეს ჩვენი ქვეყნის ბედი, და ურთიერთშორის შეთანხმება ჩამოაგდოს. რუსეთში, გარდა უკიდურეს მემარჯვენეთა ყველა წრისა, წოდებისა და პარტიის ხალხმა შეთანხმებით და შეერთებულად მოახდინა დღევანდელი დიდი რევოლიუცია და დღესაც შეერთებულად იცავს ახალ რეჟიმს. საქართველო თვის განსაკუთრებულ მდგომარეობის წყალობით, როგორც მუდმივ ეროვნულ დევნა-შევიწროებაში მყოფი ქვეყანა, სულ ერთიანად მტრულად განწყობილი იყო ძველი მთავრობის წინააღმდეგ. თითო ოროლა კაცი სახეში მისაღები არ არის.

საქართველოს მომქმედი პოლიტიკური პარტიები ძველი მთავრობის შეურიგებელი მტრები და მოწინააღმდეგენი იყვნენ. მაშასადამე, ძველი მთავრობის წინა ღმდეგ სასტიკი ოპოზიციები სულიერი განწყობილება ყველა ქართველი პოლიტიკური პარტიისა ის მადლიანი და იშვიათი ნიადაგია, რომელზედაც მათი გაერთიანება უნდა მოხდეს. საქართველოს მებრძოლ რუსეთთან ერთად გასაკეთებელ საერთო საქმის გარდა აქვს თავისი პირადი, წმინდა ქართული საქმე. ეს არის ქართველი ერის ეროვნულ პოლიტიკური უფლების აღდგენის საქმე. ეს არის საქართველოს თავისუფლების საკითხი, რომელიც ბევრათ დაკავშირებულია ახალ რეჟიმის განმტკიცებაზე. ამ საკითხის გარშემო, რომელიც საქართველოს არსებობის ძირითადი საკითხია, უნდა მოხდეს ყველა ქართული მომქმედი პარტიის შეერთება. შეერთებულ პარტიებს უნდა მიემხროს და გაჰყვეს მთელი საქართველო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა. ქართველმა ერმა უნდა გაიგოს, რომ მის მოწინავე შვილები და მომქმედი პოლიტიკური პარტიები შეერთებულად ზრუნავენ საქართველოს ბედის გამოსაბრუნებლად, მის ეროვნულ უფლებების აღდგენისათვის. გაერთიანების მაგალითი პარტიებმა უნდა მისცენ ხალხს. ვინც ამ გაერთიანებას გაექცევა და დაერიდება ის ქვეყნის მუხანათი იქნება. გათიშულად მოქმედებამ წარსულში ჩვენს ქვეყანას ბევრი უბედურება მოუტანა. დღევანდელი დრო და განსაცდელი ყველა დროსა და განსაცდელზე უფრო სახიფათო და საშიშოა, რომელიც ოდესმე დასდგომია ჩვენს ქვეყანას, და დღეს გათიშულად ყოფნამ და მოქმედებამ, შეიძლება სწორედ ამიტომ, პირდაპირ საბედისწერო შედეგი მოგვიტანოს დიდ და ძნელს საქვეყნო საქმეში. ამ ქვეყნის განსაცდელის საშინელ ჟამს, ყველა პარტიამ და ამ პარტიებთან ერთად მთელმა საქართველომ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს მოქმედების საერთო პროგრამა. ნაბიჯი და ტვირთი იყოს საერთო, მისი სიმძიმე ყველამ ზიდოს და გადადგმული ნაბიჯის პასუხისმგებელიც მთელი ქვეყანა უნდა იყოს. უნდა მოისპოს თაოსნობა და მოქმედება პარტიული. თაოსნობაც და პასუხისმგებლობაც უნდა იყოს საერთო, ეროვნული. შეაერთოს განსაცდელმა და იმედებმა. ქართველებო, დღევანდელი მომენტის უზენაესი მოთხოვნილებაა ყველა პარტიის, ყველა წოდების, მთელი საქართველოს შეერთება და ერთად მოქმედება. ამაშია ჩვენი ხსნა. ამ გაერთიანებისაკენ მოუწოდებთ ყველას. ზურგის შექცევა ღალატი იქნება სამშობლოს წინაშე. ნულარ დაგვედება ეს საშვილიშვილო სირცხვილი! მაშ გაერთიანებისაკენ, ერთად ყოფნისაკენ!

## ახალი რუსეთი და საქართველო

აღსრულდა დიადი მოვლენა. დასკდა უეცრივ დიდი იმპერიის მხუთავი სალტები. აეცალა ეროვნებათა გულს საშინელი მაჯლაჯუნა და 160 მილიონმა ხალხმა ამოისუნთქა თავისუფლათ... გუშინდელი მონა გამართა წელში და შეიქნა თავისუფალი მოქალაქე. ბედის წერის უხილავმა მარჯვენამ დაანარცხა ძირს უხეში მტარვალობა დ მეფის გვირგვინთან ერთად დაამსხვრია ბიუროკრატიის ქანგით შეჭმული ულმობელი მანქანა... შლისებურგისა და პეტრე-პავლეს ციხეთა ბნელ-ნესტიანი კედლები იგემეს მათ, ვინც სჭედდენ იმპერიის ბედს და ვინც ერეკებოდენ საუკუნეთა სრბოლაში იმავ ბნელ დილეგთა შორის სიმართლის მღაღადებელთ, რუსეთის საუკეთესო შვილთ...

— აღსრულდა მათზე ზეგარდმო რისხვა. ახდა სიზმარი. ოცნება იქცა სინამდვილეთ... დაეცა ძლეული ასთავიანი ჰიდრა, სიმართლე იშვებს და დღესასწაულობს თავის გამარჯვებას.

საუკუნოთ ჩაიჩეხა უფსკრულში ძველი დახავსებული რუსეთი, რუსეთი უმწეო, მონა, ბეჩავი და უბედური. მის ნაცვლათ კი აღსდგა მკვდრეთით რუსეთი განახლებული, ახალი სულით აღტკინებული, ახალი ძალით აღჭურვილი და გარემოცული. ეს დიადი სასწაული ჩაიდინეს ჯარისა და ხალხის შეერთებულმა გრძნობამ და გონებამ, შეერთებულმა მარჯვენამ..

დიდი ხანია გაკოტრდა სულით ძველი მთავრობა, გაიხრწნა იგი ზნეობით, დაკარგა ჭკუა და გონება. მისი სიდამპლის სენი მოედვა ჰაერს და მოსწამლა მიდამო. საჭირო იყო დიდი გრიგალი, რომ ძირიან-ფესვიანათ მოეგლიჯა ეს მყრალი მცენარე და გადეტყორცა იგი შორს უფსკრულში. და აი ამოვარდა კიდეც შმაგი გრიგალი მსოფლიო ომის სახით, რასაც მოჰყვა მილიონ ვაჟკაცთა სისხლის ღვრა, ქვრივობოლთა ცრემლები, შიმშილი და გაჭირება, უსაზღვრო ქრთამი ყველგან და ღალატი მაღალ წრეებში.

აივსო ხალხისა და ჯარის მოთმინების ფიალა. ნემეზიდამ იპოვა ბოლოს თავის მსხვერპლი და ერთის დაკვრით, იქცა ნამსხვრევათ ის მანქანა, რომელიც საუკუნოებით ხუთავდა რუსეთის სულს, ჰბორკავდა მის აზროვნებას და მოქმედებას.

ამიერიდან, თავის ღირსეულ წარმომადგენელთა სახით, თვით ხალხი ჩაუდგა სათავეში თავის საქმეებს, იპყრა ხელთ მძიმე ურო და მედგრათ დაუწყო ჭედვა თავის ბრწყინვალე ბედს ისტორიის გრდემლზე.

**გაუმარჯოს ახალ მჭედელს! გაუმარჯოს რუსეთის დიდებულს და შეგნებულ რევოლიუციას! გაუმარჯოს ახალ რუსეთს!..**

ამ დიადმა ამბებმა ააფრთოვანა არამც თუ მარტო რუსის ხალხი. ამ საერთო სიხარულის ფერხულში ჩაებნენ ყველა ერნი, იმპერიის შემადგენელნი. შვების, ძმობის და თანასწორობის იმედი მოეფინა მათ მღელვარე გულს. ამ დიადი მოვლენით ველიკოროსთან ერთად ხარობენ ფინი და პოლონელი, ესტი და ლიტველი, კაზანელი თათარი და უკრაინელი, სომეხი და ებრაელი, ლეკი და ოსი, ჩერქეზი, ხარობს ქართველი! ყველას თვალწინ ამოდის განთიადი, ყველას უღიმის თავისუფლების ცისკარი...

**თავისუფალი ერი და თავისუფალი ადამიანი...** აი, მაღალი მცნება, რომელიც წამოაყენა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ და რომელიც უნდა გადასწყვიტოს რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ! რუსეთის იმპერიაში მოყოლილ, ბრწყინვალე წარსულისა და მაღალ კულტურის ერებს შვება და თავისუფლება უნდა მიენიჭოს. ძირს ბორკილები!

დიადია სიხარული და აღფრთოვანება თავისუფალი რუსეთის დაბადებით. მაგრამ რას გვიქადის ჩვენ, ქართველებს, ეს ახალი რუსეთი? 116 წელია რაც ფართოთ გავუღეთ დარიალის დახშული კარები და მოვყვრათ მივიღეთ ტურფა კოლხეთ-ივერიაში რუსის მთავრობა, რუსის არმია; ვღვარეთ უხვათ უკანასკნელი სისხლი ლეკთა და თურქ-სპარსთა ბრძოლაში, დაუპყარით ორთავიან არწივს კავკასიონის ქედი და მთელი ამიერ კავკასია. ქართველის ერთგულება რუსეთის ტახტისადმი შეიქნა საარაკო. ძლაპრული თავგანწირვით ვიცავდით მუსლიმანთაგან რუსეთის დროშას. ნეტა რა მივიღეთ ჯილდოთ?

1783 და 1800 წელთა ტრაქტატების დარღვევა, საქართველოს სამეფოს დამხობა, მისი კულტურის დაშლა, განიავება, ავტოკეფალიის გაუქმება, ჩვენი საკუთრების დატაცება, სამეფო და საეკლესიო ქონება-მამულების ჩამორთმევა, პიროვნების ფეხქვეშ გათელვა, ცარცვა გლეჯა. ტლანქი ძალმომრეობა და სხვა ამგვარა ნობათები,— აი, ის „სანუკვარი“ ჯილდო, რომელიც გვხვდა წილათ ქართველებს რუსის მთავრობისაგან ამ ერთ საუკუნეში! აი, ჩვენი ერთგულობის და თავდადების ნაცვალი! ჩვენ გავიცანით რუსის ჩინოვნიკი, რომელიც ტყავს გვაძრობდა უსაზღვრო ქრთამებით და ბოროტმოქმედებით, გავიცანით საქართველოში ჩამოსახლებული რუსის გლეხი, რომელიც გვაცლიდა ჩვენს, ისედაც მცირე მიწამამულს, გავიცანით რუსის სკოლა, რომელიც გვგლეჯდა პირიდან ჩვენს ღვთაებრივ ენას და გვაყენებდა გადაგვარების გზაზე, გავიცანით რუსის სულიერი მამა, რომელიც ცარცვავდა ჩვენს ეკლესია-მონასტრებს, გვიბილავდა რჯულს და გვიკრძალავდა სამშობლო ენაზე ღვთის ვედრებას, გავიცანით რუსის კანონი და ვიგემეთ რუსის პოლიციელის მათრახი, და ბოლოს გავიცანით რუსის ინტელიგენტი, რომელიც დასცინოდა ტლანქათ ჩვენს დიდებულ წარსულს, ჩვენს მაღალ კულტურას და ცდილობდა ჩვენს გარუსებას.

მიუხედავად ასეთ უგვანო ძალმომრეობისა, ბოროტებ სა, დამცირებისა და უფლებათა ფეხქვეშ გათელისა, ქართველი ერი, ბიბლიურ იობისამებრ, ითმენდა მთელი საუკუნე ასეთ საზიზღარ შეურაცყოფას და კვნესით ელოდა უკეთეს მომავალს... და აი, დასჭექა ზეცამ ზენაარი რისხვა 19 ივლისს 1914 წელს! ისტორიის საშინელმა გრიგალმა შეარყია რუსეთი და მთელი ევროპა. იდუმალმა შიშმა შეიპყრო რუსეთის იმპერია. და სწორედ ამ დროს სიმღერით და ცეკვა-თამაშით გავიდენ ბრძოლის ველზე 350 ათასი ქართველი ვაჟკაცნი, მედგრად ეკვეთენ შემოსეულ მტერს და მით გმირული სული ჩაუდგეს იმპერიის ლაშქარს... რუსეთისათვის ამდენ და ასეთ მსხვერპლის გამღებ ერს ახალმა რუსეთმა მონობის ბორკილი უნდა ახსნას. ეს დიადი მსხვერპლი ქართველი ერისა არ უნდა დაივიწყოს ახალმა რუსეთმა, იგი უნდა გაიხსენოს მისმა დამფუძნებელმა კრებამ. ასეთ ერს უნდა მიეცეს ძალად წართმეული მისი კანონიერი უფლებანი. **საქართველოს უნდა მიენიჭოს ფართო ავტონომია თავის საკუთარ დემოკრატიულ პარლამენტით.**

რიონელი.

## უდიდესი რევოლუცია

არც 1905 წლის რუსეთის დიდი რევოლიუცია და არც 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია არ შეედრება იმ დიდებულ სანახაობას, რაც მოხდა თებერვლის 27-ს. ეს რაღაც დაუჯერებელი რამ არის, ერთის შეხედვით უცნაური სურათი, სადაც ხელის გაქნევით საუკუნეთა მიერ ნაგები უგუნურების ციხე ტყდება, ბოლო ეღება დანაშაულებათა ვაკხანალიას, სისხლის მღვრელს დესპოტიზმს, აღმაშფოთებელს სისასტიკეს და ბარბაროსულს სიცოფესა. მრავალტანჯული რუსეთის ერი თავბრუ დასხმული ეგებება ამ მრავალ მხრით აღსანიშნავს დღეს, მასში ჰხედავს სამართლიანობის გამეფებას, გათელილ უფლების აღდგენას!

ჩვენ არ ვიცით, მოხდება აქაც განმეორება 1905 7 წლის რეაქციის ქარტეხილების, არც ის ვიცით, თუ ამ გულუბრყვილო აღტაცებას რამდენი დღე უწერია, ვხედავთ მხოლოდ, რომ ახალი მთავრობა ხიშტის წვერზე დამყარებულს ძველს მთავრობას სულთამანას უგალობს და ეჩქარება შექმნას ახალი ქვეყანა, ახალი სამშობლო, ახალი სულიერი კერა. ოცნებანი მისი უფრო შორს მიდის, ვიდრე ძველი სპარტასი და ათინასი, თვით უკეთილშობილეს 1789 წ. საფრანგეთის კაცლუც მისწრაფებათაც კი ელფერს შეუცვლის სილამაზით. დღევანდელი რევოლუცია სპობს ავტორიტ-წოდებრიობით უპირატესობას, ყველასთვის თანასწორს უფლებას მოითხოვს ღვთისა და ხალხის წინაშე ელლინისა და ბარბაროსის შესარიგებლად.

ამ დიდებულ სურათის უცნაურობას უმალვე მივხვდებით, თუ გავიხსენებთ მის წარმოშობის მიზეზებს. რუსეთი ერთად-ერთი უდიდესი სახელმწიფო იყო, სადაც ძველს რეჟიმს არ დაეკარგნა თვისი არსებობის უფლება. უძრავი, ლოდად წამოწოლილი იგი ბიწიერების მანტიით იმშვენებდა გარდაშლილს მხარბეჭს. ევროპის არცერთს სახელმწიფოში ძველი ადმინისტრაციული სისტემა არ ყოფილა ისე შემზარავი, როგორც რუსეთში; არცერთს ქვეყანაში მას არ დაუკარგია არსებობის მიზანშეწონილობა, როგორც რუსეთში; არსად ზიზღი ამ შავბნელ მონარქიისადმი არა ყოფილა ისე მძვინვარე, როგორც აქ; მაგრამ ისიც მართალია, რომ არსად ახალს ფილოსოფიას და სოციალისტურს ილლუზიებს ისე არ გამოუთხრიათ მეფის ტახტისათვის ძირი, როგორც ამავე უბადრუკს იმპერიაში. დაუმატეთ ისიც, რომ ამ ტახტზე იჯდა არა ნაკლებ უბადრუკი დესპოტიზმის წარმომადგენელი უკანასკნელი მეფე ნიკოლოზ, რომელმაც არც რუსეთში და არც თუ იმპერიის გარედ ვერ დაიმსახურა პატივი, სიყვარული, რომ ანგარიში გაეწიათ მისთვის, როგორც უზენაეს გამგებლისთვის. იგი სათამაშო ბურთად გარდაქცეული-ყო ულირს მმართველების ხელში, რომელთაც მმართველობს სინოდი და ბიუროკრატიის დახავსებული ფირმანები ჰმადლობდა ხოლმე. მეფე და გამგებელნი თვითნებობით ჰქელავდნენ ხალხის უწმიდეს გრძნობებს, უფლებებს, ცოდვა და ბიწიერება მეფდება სასახლეში მთელის თავის ცინიკური სიშიშვლით, რასაც ლულღის ფოთოლიც ვერ ჰფარავდა ოდნავად მაინც. რუსეთი კირთების ქვეშ ეწამებოდა, რომ მის სახელოვან შვილთ შიშველი მკერდით ისტუმრებდნენ მანჯურიის ველისკენ, სადაც 1904 წ. სამარცხვინო მარცხი განიცადა, ხოლო ეს ლაქა გაათასკეცდა 1904 წლიდან, როდესაც გულში დაკოდილ რუსეთმა დაჰკარგა გვირგვინის დამამშვენებელი პოლო-

პარასკევს, 10 მარტს, ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

# მღვდლის გაბრიელ
# გოგიჩაიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხოფიო ეგნატეს ასული, მღვდელი ივანე მეუღლითურთ, ელენე, ფილიპე და დავით გაბრიელის ასული და ძენი, ელენე ნიკოლოზის ასული და ანასტასია სიმონის ასული გოგიჩაიშვილები და ელისაბედ და ათანასე ებრალიძენი.

(1—557—1)

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ დაესწრონ კრებას, რომელიც გაიმართება ქართული კლუბის დარბაზში, პარასკევს 10 მარტს, საღამოს 8 საათზე.

ნეთი. სუსტი, ბავშვსავით კაპრიზების ამყოლი, ჟუნებური ადამიანი, აი ვის ვხედავდით უკანასკნელ მეფის სახეში, რომელსაც არა შეეძლორა, არც სიყვარული, არც წყალობა, არც გამგებლობა, არც თუ სითამამე და თვისი ჭკუის ფეხით სვლა. აღარავისთვის დაფარული არ არის ის სამარცხვინო ამბავი, რომ მისი მმართველობა იყო მმართველობა ყოვლად გათახსირებულ „მუჟიკის“ რასპუტინისა, რომლის სისხლის ლაქა აღარასოდეს არ ჩამოჰშორდება რუსეთს. უბადრუკი მეფე მით უფრო უბადრუკია, რომ იგი თვით ამ ტრაგიკულ როლისთვის არ იყო დაბადებული, რომელიც ბედმა არგუნა მას წილად. მის გვერდით კიდევ ვხედავდით ვნებიანს დედოფალს, მარია ანტუანეტას ღირსეულს მემკვიდრეს, რომელიც სიფუქსავატით და ვნებაშიც უსტეტიო გემოვნებით ყველა დედოფლებზე დაბლა იდგა. იუსიფოვის დამბაჩა იყო საჭირო, რომ ამ ვნება აშლილ მენედესათვის შეეგნებინებინა სირცხვილი მის საყვარელ რასპუტინის ბიწიერ პერანგით რომ ეხვეოდა მთელს რუსეთსა. მართალია, მის ხასიათსა და ბუნებაში გაცილებით მეტი მეფური ღირსებანი იყო, ვიდრე უბადრუკს მეფისაში, მაგრამ გამოუცდელობით და ნებისყოფის სისუსტით ქმრისგან ბევრი არაფრით განსხვავდებოდა. რუსეთი კი ჰაჭიროებდა ახალს პეტრე დიდს, რომელიც შეძლებდა მომენტის ღირსეულს შეფასებას, მდგომარეობის გათვალისწინებას, მოხვდებოდა, რომ რუსეთი საკმაოდ მომწიფებული იყო დიდი რეფორმებისთვის, რათა სახელმწიფო მმართველობის ცვლილებით უკვდავი სახელი დაემკვიდრებინა. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ნიკოლოზ II მხოლოდ სათამაშო ბურთს წარმოადგენდა ნათესავთა და მინისტრთა ხელში. მან არ უწყოდა სახელმწიფო მოღვაწეთა შერჩევა, მისი მეფური ღირსებანი სასახლეში გამეფებულმა ვაკხანალიამ გარყვნილ ქალთა ქობის კალთამ გამოახვია.

რაღა თქმა უნდა, ასეთი მთავრობა ვერაფერი სანუკვარი იქნებოდა. მრავალტანჯული ხალხი, რომელიც მისი წყალობით main-mortables-ეთ გარდაიქცა, ყოველთვის მზად იქნებოდა შური ეძია ბორკილების დასაღეწავად. და აკი კიდეც რამდენჯერმე სცადა მისი ჩამოგდება. თუ ვერ მოახერხა, მხოლოდ იმიტომ, რომ სტოლიპინები გერმანეთისგან სესხულობდნენ რეაქციის ხიშტს და მით უხსნიდნენ თავის ქალას. დღეს კი, როდესაც გერმანეთის საზღვრებით ცეცხლის კორიანტელია ამოხდენილი, ძველმა მთავრობამ ვერ მოიხმარა მის მახვილი და იმ ხიშტზევე წამოეგო, რაზეც თავის უფლებებს ამყარებდა. 27 თებერვლის გამარჯვება ეს დასამარებაა ძველი, უბადრუკი გამგებლობისა, რასაც თან მოჰყვა მზიური განთიადი, ახალ ცხოვრების ახალი სხივი!

იყომსცა დღეგრძელი სხივი იგი!

დაე, სითბო მისი ჩვენს ერზედაც გარდმოევლინოს, ერს, რომელსაც საკუთარ თავდაცვის ფარხმალი დიდიხანია ზურგიდან მოხსნილი აქვს და რუსეთის საზღვრებზე გასული შიშველი მკერდით რუსთა კეთილდღეობისთვის იწირება!

განთავისუფლებულ რუსეთთან ერთად გაუმარჯოს განთავისუფლებულს, პოლიტიკურად აღდგენილს საქართველოს!

**დ. კასრაძე.**

## რევოლიუციის დღიური

### პირველი დღე

პირველი სარევოლიუციო მოძრაობა პეტროგრადში 24 თებერვალს დაიწყო ვიბორგის მხარეს. იქ ფურნეების და საკანდიტროების წინ დაუსრულებელი კუდები იდგა პურის მოლოდინში, მაგრამ პური აღარ იშოვებოდა. ხალხმა ჯგუფ-ჯგუფად იწყო თავის მოყრა. მერე მიესივნენ ფურნეებს ყვირილით: „პური, პური“ და ქუჩებში დაიწყეს სიარული. დაბინდებისას პოლიციამ გაჰფანტა ხალხი. ხალხი სისხამ დილიდანვე გამოსულიყო ქუჩებში, მაგრამ დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. აქა-იქ წითელი დროშა ააფრიალეს. მთავრობის განკარგულებით დილიდანვე დაიკეტა ყველა კანტორები და მაღაზიები. ქალაქის გამგეობაშიაც მუშაობა შეაჩერებინეს. მთელი ქალაქის ვაჭრობა და საქმიანი ცხოვრება მოკვდა.

### მეორე დღე

24 თებერვალს ქუჩა დილიდანვე უფრო ფართეთ ამოძრავდა განაპირა უბნებში, საიდანაც მოძრაობა ქალაქის შუაგულისაკენ გადავიდა. ყველა დიდ ქუჩებში ქვეითა და ცხენოსანი პოლიცია ჩაეყენებინათ. ქუჩებში ცხენოსანი პატრულები დაძრწოდა. ხიდის ყურეებთან და შუა ქალაქისაკენ მიმავალ პროსპექტების კუთხეში ჯარი იყო ჩაყენებული. ამის-და-მიუხედავად გარე უბნებიდან დაიძრა მუშა ხალხი, დარაჯების წყება გაარღვიეს და დიდ ქუჩებში ამოჰყვეს თავი.

შუადღის 12 საათზე, ნიკოლოზის სადგურის პირდაპირ, ზნამენია მოედნზე 12 ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ტრამვაი შეაჩერეს. რამდენიმე ვაგონი მოდააბრუნეს. ალექსანდრე მესამის ძეგლზე აცოცდნენ მქადაგებელნი და მიტინგი დაიწყო.

წითელი ბაირაღი აფრიალდა. ოთხი პოლიციელი შეეცადა მოქადაგის შეპყრობას, მაგრამ ხალხი გარს შემოერტყა. ორმა ორატორმა მოასწრო სიტყვის თქმა. მესამე ნოლაპარაკე რომ აპირებდა სიტყვას, მოედანზე კაზაკთა ცხენოსანი რაზმი გამოჩნდა შუბებით გამარჯვებული და ხალხს ალყა შემოარტყეს. ხალხი შეკრთა, დაშლა იწყო, და გაემართა ლიგოვკისა და ნევის ქუჩებისაკენ.

**პირველი მსხვერპლნი**

მანიფესტანტებს ლიტეინის ხიდთან წინ შეეგება მეორე მხრიდან მომდინარე მუშათა ტალღა და ერთად გაემართნენ. გამოჩნდა პოლიციელთა და კაზაკთა რაზმები. მათ ხალხს ურჩიეს დაიშალენითო. ხალხი გზას განაგრძობდა. პოლიციამ იარაღს მიჰმართა. რამდენიმე ათეული კაცი დაიჭრა, ბევრი მათგანი—მძიმედ.

**ქალაქის საბჭოს წინ**

ხალხი ახლო-მახლო გარეუბნებში გაიფანტა და ნაწილ-ნაწილ ქალაქის საბჭოსაკენ გაემართა, სადაც მიტინგი იყო. ხალხის დეპუტაცია ქალაქის მოურავ ლელიანოვს წარუდგა. მოურავმა თავისი კაბინეტიდან ფეხი არ მოიცვალა. კაზაკთა ცხენოსანი რაზმი დაერია ხალხს და გაჰფანტა.

**ყაზანის მოედანზე**

ხალხი გაიფანტა, მაგრამ კვლავ თავი მოიყარა ყაზანის მოედანზე. აქ 10 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა. გაისმა სარევოლიუციო სიმღერები. ხალხმა ქუდები მოიხადა. შორიდან კაზაკები გამოჩნდნენ. ხალხმა დაიგრგვინა: „ურა, გაუმარჯოს კაზაკებს“. იმავე დროს გაისმა ყვირილი: „პური, პური!“ პოლიციელებს მახლობელ ყაზარმებიდან ჯარი მოაშველეს. ხიშტებ მიშვერილი ჯარი ხალხს შემოერტყა. აფიცრის რჩევით ხალხი დაიშალა.

### მესამე დღე

24 თებერვალს ღამე პოლიციამ საგანგებოდ დაირაზმა. ნიკოლოზის სადგურის ქალაქის საბჭოს და ზინგერის სახლის სახურავებზე ტყვიისმფრქველები დასდგეს. ქუჩებში პატრულებს ფეხს ვერ აუქცევდით. ყოველ ქუჩის მისახვევში ძლიერი რაზმები იდგა. ქვეითა და ცხენოსანი პოლიცია, ჟანდარმები და კაზაკები ქუჩებში ირეოდნენ. ამ დღეს ხალხთან თვალსაჩინო რამ შეტაკება არ მომხდარა, გარეუბნებში აქა იქ მოხდარ პატარ-პატარა შეტაკების გარდა.

ვასილევის კუნძულზე ჯარი ხიშტებით მიესია ხალხს. ხალხი დაიშალა. მსხვერპლი არ ყოფილა.

ვიბორგის მხარეს ჯარმა ხალხს გაუტენავ პ ტრონებით სროლა აუტეხა. აქაც არავინ უნსხვერპლიათ.

25 თებერვალს მოძრაობას დარაზმულობა დაეტყო. მოძრაობის მოსაწყობად საგანგებო კომიტეტი შესდგა. მოძრაობას მიემხრო სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციები, სტამბის მუშები და სხვა პროფესიის მუშათა ორგანიზაციები. 25 თებერვალს მუშათა შორის მუშათა დეპუტატების საბჭო აირჩიეს, მოძრაობის ხელმძღვანელად.

**პირველი სროლა და ულეტა.**

25 თებერვალს საღამოს მოხდა პირველი დიდი შეიარაღებული ხალხის შეჯახება პოლიციასთან, რომელსაც ადამიანის მსხვერპლიც მოჰყვა. პირველად სისხლი დაიქცა ყაზანის მოედანზე, სადაც დილდალ ხალხს ჯარი გადაეღობა. პირველად ჰაერში ისროლეს. ხალხი მიწაზე დაეცხო. ჯარი პირქვე დამხობილ ხალხს თოფებს უშენდა უკვე გატენილი პატრონებით. 60-დე მოკლული და დაჭრილია. დაჭრილები ქალაქის საბჭოს დარბაზს შეაფარეს. იმ წამს იქვე გაჩნდნენ დეპუტატები სკობელევი, ძუბინსკი და სხვანი. ქალაქის გამგეობის წინ 150 მეტი დედაკაცი და ბავშვი შეიყარა: თავისი დაჭრილ მოკეთეების ნახვა მოითხოვეს.

**ბოქაულის მოკვლა.**

მეორე შეტაკება ზნამენის მოედანზე მოხდა ნიკოლოზის სადგურის პირდაპირ. აქ ბოქაულმა ხმალი იშიშვლა და მუშას მოუქნია. მუშას ხმლის წართმევა უნდოდა და მსუბუქად დაიჭრა. მუშას კაზაკები გამოესარჩლნენ. ბოქაულმა კაზაკს იარაღით შეუტია, კაზაკმა ხმლით შუა გააპო ბოქაული. შეჯახების დროს ერთი კაზაკი პოლიციელმა დასჭრა.

ქალაქის უფროსის განკარგულებით ტრამვაის მოძრაობა მთელ დღეს შეჩერებული იყო.

### მეოთხე დღე

26 თებერვალს მოძრაობამ ფართე სარევოლიუციო ხასიათი მიიღო. მოძრაობაში ჯარიც ჩაერია. პირველად პავლეს პოლკი აჯანყდა. მას სხვა ჯარიც მიემხრო.

### მეხუთე დღე

27 თებერვალს სარევოლიუციო მოძრაობა გაძლიერდა. ამ დღეს პეტროგრადში ბრძანება მოვიდა სათათბიროს დათხოვნისა. ამან უფრო გააცხარა სარევოლიუციო მოძრაობა. რევოლიუციის სათავეში სახელმწიფო სათათბირო ჩადგა.

**სათათბიროს გადაწყვეტილება**

სახელმწიფო სათათბიროს უხუცესთა სწრაფი სხდომა მოხდა, რომელზედაც დაადგინეს: სათათბირო არ დაიშალოს, დეპუტატები ადგილიდან არ დაიძრნენ.

**ჯარის მიმხრობა**

27 თებერვალსვე რევოლუციას მიემხრო ვოლინის, პრეობრაჟენსკის, ლიტოვსკის, კექსგოლმსკის და საპიორთა პოლკები, სულ 25 ათასი მეომარი.

**ჯარის დეპუტაცია**

ნაშუადღევს 1 საათზე 25 ათასი ჯარისკაცისაგან როძიანკოს დეპუტაცია წარუდგა და წესიერების დასაცავად ზომების მიღება იკისრა. 2 საათზე მრავალრიცხოვანი რევოლუციონერი ჯარი სათათბიროს მოადგა აუარებელ ხალხის თანხლებით. მათ გამოეგებნენ დეპუტატები: ჩხეიძე, კერენსკი, სკობელევი და სხვანი. ჩხეიძემ, კერენსკიმ და სკობელევმა მიჰმართეს ჯარს.

ჯარმა თავრიდის სასახლის დარაჯები მოხსნა და თავისი ჩააყენა აქაც, ფოსტაშიაც, ტელეგრაფშიაც და ტელეფონებთანაც.

**თოფხანის აღება**

დილითვე თოფხანას მიადგა რევოლუციონერთა ჯარი და ხალხი. მათ სროლით შეხვდნენ. მოჰკლეს თოფხანის საწყობთა გამგე გენერალი მატუსოვი და თოფხანა ხელში ჩაიგდეს.

**მინისტრების გადადგომა**

ნაშუადღევს 1 საათზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და სხვა მინისტრებმაც სათათბიროს თავმჯდომარე მ. ვ. როძიანკოს ტელეფონით აცნობეს თანამდებობიდან გადავდექითო. მხოლოდ პროტოპოპოვი არ გადადგა.

**პოლიციის აკლება**

დამცველ პოლიციის განყოფილება აიკლეს, შენობას ცეცხლი მისცეს. პოლიტიკურთა ყველა დოკუმენტები და არქივი დასწვეს.

## დეპეშები

### „გაზაფხულის პირველი დღე“.

**პეტროგრადი,** 6 მარტი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა: ათს მარტს დიდებულად გაიმართოს საქალაქო დაკრძალვა დახოცილ ამხანაგებისა თავისუფლების გამოსარჩლად. ამასთანავე დაადგინა: 10 მარტი, როგორც გაზაფხულის პირველი დღე, ჩარიცხულ იქმნება რუსეთის დიდი რევოლუციის მსხვერპლთა მოგონების დღედ. ძმობის საფლავად, თავისუფლებისათვის დახოცილთა მოსაგონებლად, აღნიშნულ იქმნა სასახლის მოედანი. ამ დღესასწაულის მისასალმებლად შუადღის 12 საათზე პეტრე პავლეს ციხიდან ზარბაზნების სროლით აუწყებენ.

საბჭომ დაადგინა ამ დღეს ყოველგან მუშაობა შეწყვეტილ იქმნას.

### რკინა და ნახშირი

**ხარკოვი.** 5 მარტი. ნახშირისა და რკინის ბირჟამ დეპეშით აცნობა ახალ მთავრობას, რომ ის მზადაა მთელი თავისი ძალა სამშობლოს მოწესრიგებას შესწიროს. 7 მარტს მოხდება თათბირი, რკინისა და ნახშირის გაიაფების შესახებ მოსალაპარაკებლად. სამხრეთ რუსეთის ქარხნებმა დაადგინეს ძველი ორთქლმავლები შეასწორონ და ამით ტრანსპორტის გაცხოველებას ხელი შეუწყონ. ბუბლიკოვის ბრძანებამ რომ ბიუროკრატიული მიწერ-მოწერა მოისპოს საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

### მილიცია

**კიევი.** 5 მარტი. სტუდენტები ქალაქის მილიციაში ეწერებიან. თვითეულ კურსზე კიმისიას ირჩევენ. ხელმძღვანელობა საუნივერსიტეტო კომიტეტს ევალება, რომელიც 140 სტუდენტისაგან შესდგება.

### იუსტიციის მინისტრის განკარგულება

**ენისეისკი.** 5 მარ. კერენსკის განკარგულებით დეპეშით აცნობა ანგარის და ტურუხანის კუთხეში გაგზავნილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომ ისინი განთავისუფლებულნი არიან.

### ყოველდღიური მუშაობის განახლება

**კოსტრომა.** 5 მარ. მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა, 7 მარტს ჩვეულებრივი მუშაობა განახლდეს. ჯარის კაცების დეპუტატების საბჭოს სხდომას სადაც 500 კაცი იღებდა მონაწილეობას, მოვიდა გრუზინოვი და აღუთქვა, რომ დეპუტატების სამართლიანი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულნი იქნებიან.

### ჟანდარმერიის ბედი

**კიევი.** 5 მარ. გაუქმებულია ადგილობრივი ჟანდარმერია და დამცველი განყოფილება. საქმეები და არქივი ნაფიც ვექილთა საბჭოს განკარგულებაში გადადის.

### პურის რეკვიზიცია

**პეტროგრადი.** 6 მარ. მიწად მოქმედების მინისტრმა შინგარიოვმა ცირკულიარული დეპეშები გაუგზავნა ყველა რწმუნებულებს, რომელთაც ჯარისთვის პურის ყიდვა აქვს დავალებული. რწმუნებულებს უფლება ეძლევათ ყველა წოდების მსხვილ მემამულეებს და მოიჯარადრეებს, რომელთაც 50 დესეტინაზე მეტი აქვთ, პური იძულებით ჩამოართვან, რადგან არმია გაჭირვებაშია, მინისტრი სთხოვს ეს განკარგულება ჩქარა ასრულდეს.

### იტალია

**რომი.** 6 მარტი. დახურა რადიკალური პარტიის კონგრესი. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ომი სრულს გამარჯვებამდე გაგრძელდეს. ომის მიზნია პრუსიის მილიტარიზმის დამხობა, ავსტრია-უნგრეთის დანაწილება და ოსმალეთის განადგურება. იტალიამ ტრენტინოს პროვინცია და ადრიატიულ ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი უნდა მიიღოს; ამასთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს სერბების გაძლიერებას. საზღვაო მინისტრმა კორსიმ განაცხადა, რომ იტალიის ფლოტი ნახევარსე მეტი შეიარაღებულია.

### კიევის სტუდენტობა

**კიევი.** 5 მარტი. კიევის უმაღლეს სასწავლებელთა კოალიციონურმა საბჭომ მოწოდებით მიმართა კიევის სტუდენტობას, რათა მან დაიცვას წესიერება, თავი შეიკავოს და აქტიურად არ გამოვიდეს.

### მიმართვა პოლიტიკურ ემიგრანტებს

**პარიზი,** 5 მარტი. მაქსიმ გორკიმ დეპეშით მიმართა პოლიტიკურ ემიგრანტების წარმომადგენლებს და სთხოვა სამშობლოში დაბრუნდნენ. განზრახულია, საფრანგეთის მთავრობას სთხოვონ, რომ ემიგრანტებს განსაკუთრებული გემი მისცენ.

### ინგლისის ჟურნალისტების მისალმება

**პეტროგრადი,** 6 მარტი. პეტროგრადის ჟურნალისტთა კომიტეტმა, რევოლუციის პირველ კვირას „ჟურნალისტთა უწყებებს“ რომ სცემდა და ხალხს უფასოდ ურიგებდა, შემდეგი დეპეშა მიიღო „ინგლისის ჟურნალისტთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტისაგან: „ცენტრალური კომიტეტი გიგზავნისთ ძმურ სალამს და ულოცავს პეტროგრადის ჟურნალისტთა კომიტეტს იმ მშვენიერ მუშაობისათვის საზოგადო კრიზისის დროს, რომელიც ყველა ინგლისელებში დიდ აღტაცებას იწვევს.

### მილოცვები როდზიანკოს სახელზედ

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მ. ვ. როდზიანკოს სახელზედ რუსეთის ყოველ კუთხიდან მრავალი მილოცვები მოსდის სახელმწიფოებრივი დაწესებულებათაგან. დეპეშები მოვიდა რიაზანის საოლქო სასამართლოს მოხელეთა სრულ შემადგენლობისაგან, სარატოვის მაჰმადიანობისაგან და 50000 ებრაელთა გადასახლებულთაგან და სხვათაგან. აუარებელი შემოწირულებანი მოსდის როდზიანკოს რევოლიუციის დროს მოკლულთა ოჯახებისათვის.

### ეპ. კირიონის მისალმება

ეპ. კირიონმა მ. ვ. როდზიანკოს დეპეშა გაუგზავნა, რომელიც ასე თავდება: „გაუმარჯოს დროებით მთავრობას“.

### ჩხეიძე

აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ჩხეიძე მინსკში გაემგზავრა.

### მიმართვა კოოპერატივებისადმი

მიწად-მოქმედების მინისტრმა კოოპერატივებს მიმართა. პირველი მიმართვა ასეთია: „ამხანაგებო კოოპერატორებო! სამშობლო თქვენ მოგიწოდებთ, მიეშველეთ და აღმოიყვანეთ საშინელ უფსკრულიდან, რომელშიაც იგი ძველმა რეჟიმმა გადაჩეხა. ძველი რეჟიმი ცოცხალ ძალებს ხშავდა, მან დაშალა სახალხო მეურნეობა და ქვეყნის გამოკვების საკითხი ასწეწა და არივ-დარია. სიმშილის ხიფათი აღიმართა ხალხისა და ჯარის თავზე. რუსეთმა გმირული ძლიერება გამოიჩინა და საუკუნოთა სვლაში გაჭედილი ბორკილები დალეწა. ეხლა თქვენი ძალები ბორკილებ აყრილი და თავისუფალია. დაჭიმეთ ეს ძალები და იხსენით სამშობლო. მიეშველეთ ახალ ხელმწიფებას, რომელიც დააწესა სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტმა, მუშათა და სალდატთა დეპუტატების საბჭომ, დასძლიეთ და ჩააყენეთ სასურსათო და სამეურნეო საქმეში ძველი სასურსათო ორგანოები ახალ ტიპის ორგანოებათ გადაკეთდებიან, მიიღეთ ამაში მხურვალე მონაწილეობა. დარაზმეთ ხალხი, ულვიძებდეთ მოქ ლაქობრივ მოვალეობასა და მის წინაშე აღმართულ საფრთხის შეგნებას. შეიძლება მომხდარმა დიადმა გარდატეხვამ არევ-დარევა და საადგილ-მამულო და სხვა უწესოებანი გამოიწვიოს. თუ ეს მოხდა, ხალხის ტანჯვა და უსურსათობა კიდევ უფრო იმატებს. მოიღეთ ზნეობრივი გავლენა, რომ არ მოხდეს ცეცხლის წაკიდება, ლეწვა, ძარცვა-გლეჯა და სათადარიგო პურისა და ფქვილის ტაცობა. გახსოვდეთ, ყოველი უწესოება დაარღვევს მხოლოდ ახალს ცხოვრებას. სამშობლოს პური სჭირდება. პურის საგზ ლი თოვლივით დნება ჯარსა და მოხმარების ყოველ პუნქტში. საჭიროა პურის საჩქაროდ ყიდვა და რკინის გზის სადგურებსა და ბოლაზებზე მიტანა. მოუწოდეთ მცხოვრებთ, პური გამოიღონ, მიეცით მაგალითი, თუ როგორ უნდა სამშობლოს სამსახური, განუმარტეთ მრავალ მილიონ გლეხობას, რომ დღეს სხვა საკითხების წამოყენების დრო არ არის. დაგვიანების ყოველი წუთი დანაშაულია. დაზოგეთ დრო და იმოქმედეთ. დაიცვათ მომჭირნეობა ხარჯვის დროს, გონიერად და სამართლიანად გაანაწილეთ პროდუქტები. მიეშველეთ თქვენის გამოცდილებით და ზედმომქმედებით განახორციელებინოთ ამგვარი მისწრაფებანი. ამხანაგებო—კოოპერატორებო, თქვენს თვალ-წინ მოხდა უდიდესი საქმე დიდი ხალხის განთავისუფლებისა, რუსეთის გადმოანათა ახალ ცხოვრების და ახალ მოქალაქობრივ საზოგადოებრივ წყობილების განთიადმა. თქვენთან ერთად ჩვენზე ძევს მძიმე მორალური პასუხისმგებლობა. თუ ქვეყანა [illegible] ვიხსენით, ვერც ახალ წყობილების სიკეთეს შევინახავთ და ვერც რუსეთის შემდგომ განვითარების შესაძლოებას. თავისუფლებისათვის ბრძოლაში დალუპულთა ხსოვნისათვის მთელი თქვენი ძალა და ღონე ხალხის სამსახურის სამსხვერპლოზე აიტანეთ. ახალი ხელმწიფება თქვენთანაა. იმედით თქვენ შემოგყურებს. რუსეთი მოითხოვს თქვენს დიდ ძალა-ენერგიას. თქვენი შვილები და ძმები თხრილებში სხედან, თქვენი ამხანაგები პურის საშოვნელად მიდიან“. თავმჯდომარე ცენტრალ კოოპერატიულ კომიტეტისა ჩაიკოვსკი, წარმომადგენელი მოსკოვის მომმარებელ კავშირისა ფიონოვი, მოსკოვის სახალხო ბანკისა ჩ"ული, მუშათა და სალდათების საბჭოს წარმომადგენელი გრომანი, მიწათმოქმედების მინისტრი შინგარიოვი.

მიმართვა მეორე ასეთია: კერძო პირებს და დაწესებულებებს, ვინც სალამი გამოგზავნეს: შეუძლებლად მიმაჩნია ფოსტა და ტელეგრაფი ჩემის პასუხებით დავტვირთო, ამიტომ ბეჭდვითი სიტყვის ყველა ორგანოს საშუალებით მხურვალე მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც პატივი მცა და მილოცვებით მომმართა. მწამს, რევოლუციის დიდი ამბები იხსნის ჩვენს სამშობლოს ძველი ხელმწიფების საფრთხისაგან. იმედი მაქვს ყველა იმუშავებს სამშობლოს საკეთილდღეოდ. მხოლოდ თავდადებულ და ენერგიულ მუშაობას შეუძლიან მოაგვაროს სურსათის საკითხი და უზრუნველჰყოს ჩვენი გამარჯვება. მაშინ ყველა მსხვერპლი ანაზღაურებული იქნება. მიწათმოქმედების მინისტრი შინგარიოვი.

### კავკასიის არმიის შტაბის განცხადება

ქვეყნდება უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბის უფროსის დეპეშა: „ბრძანების ასლი სამხედრო უწყებათა მიმართ, 5 მარტს, ვბრძანებ:

გაუქმებულ იქმნას „დაბალი ხარისხი“ (нижній чинъ; ისეთ შემთხვევაში, როდესაც საჭირო იქნება მისი ხმარება, უნდა ითქვას; „ჯარისკაცი“ (солдатъ).

გაუქმებულია ტიტულები, მათ მაგიერ ხმარებაში შემოვა „ბატონო გენერალო“ (господинъ генералъ), „ბატონო პოლკოვნიკო“, „ბატონო შტაბსროტმისტრო“, „ბატონო ექიმო“, ანდა თანამდებობის მიხედვით: „ბატონო უნტერ აფიცერო“, და სხვა.

ჯარისკაცებს მიჰმართავენ „თქვენობით“ და არა „შენობით“.

გაუქმებულია ყველა ის შეზღუდვა, რომელიც იყო დღემდინ 99, 100, 101, 102, 104 მუხ. ძალით. ჯარისკაცთ უფლება ეძლევათ იარონ კლუბებში, ტრამვაის შიგნით დასხდნენ, კავშირებში მონაწილეობა მიიღონ, აგრეთვე უფლება აქვთ წევრებად ჩაეწერონ ამა თუ იმ პოლიტიკურს საზოგადოებაში.

განკარგულებას ვაძლევ შტაბის უფროსთ შესაფერისი ცვლილებანი შეიტანონ სამხედრო უწყების ხსენებულს მუხლებში ჯარის კაცთა უფლების აღსადგენად.

იმავე შტაბს წინადადებას ვაძლევ განუმარტოს ყველა მომჩივანს საქმის ვითარება, თუ რაიმე გაუგებრობა მოხდა ამ ნიადაგზე.

ეს ბრძანება ეუწყოს ყველა როტაში, ესკადრონში, ბატარეებში, ერთი სიტყვით ყველგან, სადაც კი საჭიროება მოითხოვს.

სამხედრო მინისტრი **გუჩკოვი**

### სენატის სხდომა

**პეტროგრადი.** 5 მარტს სენატის 1 დეპარტამენტის სხდომას სამართლის მინისტრმა ა. თ. კერენსკიმ წარუდგინა დიდანი ნიკოლოზ მეორის და დიდ მთავარ მიხეილ ალექსანდრეს ძის ხელის მოწერილი ტახტზე ხელის აღების. კერენსკიმ შემდეგ კრება დასტოვა. სენატის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა საქმე და დაადგინა: ეს აქტი გამოაქვეყნოს „მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა უწყებაში“ და აგრეთვე აცნობოს ეს ბრძანება სენატის უწყებაში მყოფ დაწესებულებათ და პირთ. ამის შემდეგ სამართლის მინისტრი კერენსკი კვლავ დარბაზში შევიდა. სენატის დეპარტამენტის თავმჯდომარემ სენატორმა ს. ბ. ვრასკიმ დეპარტამენტის დადგენილება წაიკითხა და კერენსკის მიჰმართა: „უმართებულეს სენატის პირველი დეპარტამენტი უღრმეს მადლობას უცხადებს დროებითს მთავრობას ძვირფას სამშობლოში წესიერებისა და კანონიერების სწრაფი აღდგენისათვის, რაც თავდებია ძვირფასი სამშობლოს აყვავებისა და კეთილდღეობისა“. ამის საპასუხოდ სამართლის მინისტრმა კერენსკიმ უპასუხა: „ჩემს მოვალეობად მივიჩნევ აქ

შესმენილი სიტყვის დროებითი მთავრობას გადასცა. ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პეტრე დიდის დაარსებულ კანონიერების დამცველ დაწესებულებისათვის მე წარმედგინა პირველხარისხოვანი სახელმწიფო აქტები, რომლითაც უქმდება ძველი სახელმწიფო წესწყობილება". ეს ორივე აქტი სენატს ჩაჰბარდა საუკუნოდ შესანახ დ. იმავე დღეს სამართლის მინისტრმა დროებითი მთავრობას გადასცა პირველ დეპარტამენტის დადგენილება და მისი განცხადება.

## მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დადგენილება

**პეტროგრადი.** 6 მარტი. 170 ხმით წინაღმდეგ 30 მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დაადგინა; ვსცანით რა, რომ ხალხის იერიში ძველს წესწყობილებაზე გამარჯვებით დამთავრდა და საკმაოდ უზრუნველყოფილია პოზიცია, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო შესაძლებლად სცნობს მუშაობა დაწყებულ იქნეს პეტროგრადის რაიონში იმ პირობით, რომ შეწყვეტილ იქნეს პირველ ნიშნის მიცემისთანავე. მუშაობის განახლება მით უფრო სასურველია, რომ გაფიცვები დიდს ზიანს აყენებენ ისედაც ძველი რეჟიმის მიერ აწეწილს სამეურნეო ძალებს. ახლ პოზიციების განსამტკიცებლად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მუშაობის განახლებასთან ერთად საჭიროდ სთვლის შრომის ყოველ მხრივ სხეთა ორგანიზაციების შედგენას, რათა უფრო მარჯვედ მოვახდინოთ სრული ლიკვიდაცია ძველის რეჟიმისა. რაც შეეხება სხვა ქალაქებს, სადაც შეწყვეტილია მუშაობა, ადგილობრივმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი ადგილობრივ პირობების მიხედვით. ძველი რეჟიმის დასამარების დღეს, ხალხის თავისუფლების სადღესასწაულოდ, მუშაობა შეწყდება ყველგან.

## ვაჭრობა-მრეწველობის მოწესრიგება

**პეტროგრადი** 5 მარტი. დროებით მთავრობამ მოიწონა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის წინადადება განსაკუთრებულ შრომის სამინისტროს დასაფუძნებლად, სადაც შემოღებულ იქმნება კოლლეგიური ორგანო. ამ ორგანოში შევლენ მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლები და საზოგადოებათა ორგანიზაციების მთავარი წევრები.

5 მარტს მოხდა სახელმწიფო სითათბიროს წევრთა კრება, განხილულ იქნა სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტის ფუნქციათა საკითხები. გარდაწყდა ეთხოვოს დროებით კომიტეტის წევრებს წარმოდგენილ იქმნეს უკანასკნელ სხდომების ანგარიში.

## ჯარის რეფორმა

**პეტროგრადი.** 6 მარტი. სამხედრო მინისტრმა გუჩკოვმა მიმართა გენერალ პოლივანოვს და სთხოვა გამოცდილ აფიცრებისაგან კომისია შეადგინოს სამხედრო რეფორმების მოსახდენად; ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს ჯარის კაცების და ოფიცრების ურთიერთობა, პენსიის საკითხი, სალდათების ყოფა-მდგომარეობა, სამხედრო მეურნეობა და სხ. კომისიამ თავმჯდომარის ამხანაგად გენერალი მიშლაევსკი აირჩიეს. სალდათები პოლიტიკურ უფლებში დანარჩენ მოქალაქეებს უნდა გაუთანასწორდნენ.

## როძიანკოს სიტყვა ჯარისადმი

სათათბიროს წინ მიხაილოვის არტილერიის სასწავლებლის იუნკრები შემოკრბნენ. მათ შორის შევიდა როძიანკო. გენერალმა დაიძახა: სმენა! როძიანკომ ჯარს მიჰმართა: მოგესალმებით, ოფიცრებო და ჯარისკაცნო, რომელნიც მოსულხართ სათათბიროს მისაშველებლად, წესიერების დასამყარებლად. თქვენ მოგიყვანათ აქ ძველის მთავრობის უვარგისობამ. მოგესალმებით მისთვის, რომ თქვენ ხართ მომავალი თაობა და საფუძველი დიდი რუსეთის ბედნიერებისა. მე მრწამს, რომ თქვენს გულში მამულის სიყვარული ღვივის. თუ ასე მხარს დაგვიჭერთ, გამარჯვება ჩვენია. ჯარში ვაშას ძახილმა იგრიალა. დაიძახეს: როძიანკო, იყავ ხალხის მეგობარიო.

— გახსოვდეთ სამშობლო და მისი ბედნიერება, იყო პასუხი როძიანკოსი. დროს ნუ დავკარგავთ. უნდა მოვძებნოთ ერთმანეთი, მოვძებნოთ ჩვენი ოფიცრები და ვუცადოთ ახალ კომიტეტის ბრძანებას. თუ დღეს არა ხვალ გვიან იქნება. ჯარში კვლავ ვაშამ იგრიალა. შემდეგ მოვიდა პრეობრაჟენის და მეცხრე მოთადარიგე კავალერიის პოლკი. როძიანკოს დიდის ალტაცებით შეხვდნენ. დაახლოვებით ასეთისავე შინაარსიან სიტყვით მიჰმართა. ჯარმა შეჰფიცა ერთგულობა.

## მისასალმებელი დეპეშა

**ფოთი.** ფოთის ქალაქის მოურავმა გ. ტყეშელაძემ მისალოცი დეპეშები დაუგზავნა სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლვოვს, აღმასრულებელ კომიტეტის წევრს ჩხეიძეს. ლვოვს სწერს: ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ყველა თქვენი დასახული მიზანი რუსეთში მოსახლე მოქალაქეთ და ეროვნებათ მიანიჭებს უფლებას და სამართლიანობას, რომელი უფლებისა და სამართლიანობის განხორციელებაც სწყურიან საქართველოსაც და ამის განხორციელება არ იქნება დაყოვნებული. ჩხეიძეს სწერს: ქალაქის ყველა მცხოვრებნი ერთხმად მოგმართავენ და იმედს გამოსთქვამენ, რომ ამ ისტორიულ მომენტში მშობლიური ერის საიმედო დამცველი იქნებით.

## მოწოდება ახალ მთავრობისა

**პეტროგრადი.** ჩომქმედ არმიას დროებით მთავრობისაგან: „ბრწყინვალე რუსეთის არმიის აფიცრებო და ჯარისკაცნო! ამ უმაგალითო, დიდებულ სახელმწიფოს განახლების დროს, რომლის გამგებლობა გადავიდა დროებითი აღმასრულებელ მთავრობის ხელში, მთელი ქვეყნის თვალი მიპყრობილია უძვირფასეს რუსეთის არმიის გმირობაზე. რუსეთის ერთა თავისუფლება, ბრწყინვალე რუსეთის მომავალი, თანასწორობა და უფლება თავისუფლებაზე აშენებული, დამყარებულია თავისუფლებისადმი სიყვარულით გამსჭვალულ რუსეთის არმიაზე, რომელიც ამ დიდებულ წამს შესძლებს უკუაგდოს გარეშე მტერთა შემოტევა და შეინარჩუნოს დიდებული თავისუფალი დროშა, თავისუფალი ახალი რუსეთისა. არავითარ ცვლილებას არმიის შინაურ წესწყობილებაში, თუ ამის შესახებ არ იქმნება გამოცემული დროებითი უმაღლეს მთავრობისაგან, ან და იმ პირთაგან, რომელნიც ამა თუ იმ წესწყობილების შესაცვლელად ნდობით იქმნებიან აღჭურვილნი, არ დაუჯეროთ. მორჩილება ჯარისკაცისა აფიცრისადმი, რომელნიც თავის მხრივ ემორჩილებიან უფროსებს, უმაღლეს სამხედრო მმართველობაზეა დამყარებული, რომელი მართველობაც ანხორციელებს დროებითი მთავრობის ბრძანებას, შეადგენს ძირითად ძლიერებას და უზრუნველყოფს განახლებულ რუსეთისას.

ამ წესის დარღვევა მთელ რუსეთის არმიას და რუსეთის ხალხს მიიყვანდა აუწერელ უბედურებასა და დაღუპვამდე.

სამშობლოს ძვირფასნო დამცველნო! ნუ გაახარებთ მტრებს. ნუ იქმნება თქვენ შორის განხეთქილება! იყავით ერთის გრძნობით გამსჭვალულნი! დარაჯად ედექით განახლებულს თავისუფალს რუსეთს; მედგრად დაიცავით გარეშე და შინაურ მტერთაგან დროშა თავისუფალ რუსეთისა. მთავრობა თავის მხრივ მიიღებს ყოველნაირ ზომებს, სურსათის და სხვა მასალის და მზადებით და დროზე მოსაწოდებლად, რათა უზრუნველ ჰყოს მტერზე გამარჯვება. თქვენ შესძლით, თქვენის გულმკერდით, სამშობლოს დაცვა, უხამს და გახრწნილ ძველ მთავრობის მართვა-ფარეშობის დროს, მით უმეტეს ამას შესძლებთ, გაორკეცებული ძალ-ღონით დაიცვათ ბრძოლის ველზე. სამშობლოს დახსნა თქვენ ხელთაა! თქვენი გმირული ბრძოლა მტერთან და მათზე გამარჯვება, ამავე დროს არის დაცვა და განმტკიცება ახლად დამყარებულ შინაურ წეს-წყობილებისა, რომელიც მოუტანს დიდებულ მომავალს თავისუფალ რუსეთს, ბედნიერებას თქვენ და თქვენს შვილებს.

მინისტრთა თავმჯდომარე თავადი ლვოვი.

სამხედრო და საზღვაო მინისტრი გუჩკოვი.

## მანიფესტაციები პარიზში

**პარიზი.** 5 მარ. ადამიანის უფლებათა დამცველმა ლიგამ გაჰმართა მანიფესტაცია ქუჩებში—რუსეთში მომხდარ ამბებისა გამო. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდნენ რუსისა და ფრანგის ორატორები.

## ტესლენკოს უარი

**მოსკოვი.** 5 მარ. ნაფიცმა ვექილმა ტესლენკომ ავადმყოფობის გამო უარი განაცხადა სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის ადგილზედ.

## მთავარ სარდალი ებერტი

**მოსკოვი.** 5 მარტი. მოსკოვის კომისარმა ჩელნიკოვმა დეპეშა მიიღო მთავარ სარდალ ებერტისაგან, რომ ის აღიარებს ახალ მთავრობის კანონიერებას.

**თბილისი.** აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს როძიანკოს ამ ჟამად, როცა ჩვენთვის ძვირფასი სამშობლო ქვეყანა განიცდის დღევანდელს დიდებულს ამბებს, თბილისის სამოსამართლო პალატასთან არსებულ ადგილმამულის გამიჯვნის საკრებულოს ყველა მოხელემ ერთობრივ გადაწყვიტეთ მდაბლად თავი დაუკრათ სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტს, რადგან მან დააწესა ახალი მთავრობა და გამეფდა დიდი ხნით სანატრელი თავისუფლება. ურთგულებით ჩვენც ახალს საერო მთავრობას და აღთქმასა ვსდებთ ყველი ჩვენი ძალა და ცოდნა შევსწიროთ ძვირფას სამშობლოს კეთილდღეობას.

თავმჯდომარე კრების თბილისის ადგილ-მამულის გამიჯვნისა ინჟინერი პლოტნიცკი.

## როდის გათავდება ომი?

„კავ. კრაიში" ვკითხულობთ: „ჯერ კიდევ ლორდმა კიტჩენერმა სთქვა, ომი სამს წელზე მეტს არ გასტანსო. გენერალ ბრუსილოვმა ინგლისელ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: „1917 წ. მარიამობისთვე იხილავს ჩვენი უზარმაზარი შრომის დასასრულსაო". ამნაირად, ინგლისელთა სამხედრო მინისტრი, განსვენებული კიტჩენერი და ბრუსილოვი ერთი და იმავე აზრისა არიან, რომ ომი იქლისსა და მარიამობისთვის რიცხვებში უნდა გათავდესო. საინტერესოა მოვიყვანოთ ინგლისის ცნობილ მწერალ უელსის აზრიც; „1916 წელშიო,—ამბობს იგი,—გერმანელები ზავზე დაიწყებენ ლაპარაკს. შვიდი თვის შემდეგ ომიც სასურველად დასრულდება, გერმანელები თვითონვე იარაღს დაჰყრიან". ამას უნდა დაურთოთ იტალიაში დეპუტატთა პალატაში სოციალისტების შეკითხვა ზავის შესახებ. საკითხის გარკვევა პალატამ გადასდო ექვსი თვით. ამნიარად, აქაც ვხედავთ, რომ იტალიაშიც ომის დასასრულის საკითხის გადაწყვეტა ისევ მარიამობისთვეში უნდა მოხდეს. ახლა საკითხია მხოლოდ ის, თუ რომელ მხარეზე დაიწყებენ შეტევას მოკავშირენი?"

შემდეგ გაზეთი უბრუნდება მთავარ საკითხს, თუ გერმანელები თვისი მხრით რასა ჰფიქრობენ. ყველა ეს კარგი მოსაზრებაა, მაგრამ გერმანელები რომ სდუმან, ალბად ისინიც გაფაციცებულ მზადებაში არიან, რათა დაასწრონ ინგლისელებს და ხელი შეუშალონ მთავარ გეგმების განხორციელებაშიო. „ინგლისი გერმანეთის უმთავრესი მტერია. გერმანეთმაც სწორედ მის წინააღმდეგ მიჰმართა წყალქვეშა ბრძოლა. თუ ამ გაზაფხულზე ვერ გამოიჩინა ძალა და არ შეუტია ინგლისელთ, სჩანს, ძალა მისი გატეხილია, აქტიურ თავდაცვაზე გადავა და მალე ზავსაც მოითხოვს. ასე აღსრულდება წინასწარმეტყველობა კიტჩენერისა და მასთან ერთად ბრუსილოვისა.

## ომის დეპეშები

7 მარტი

### მთავარ ბანაკის ცნობა.

**პეტროგრადი.** ოფიციალი. დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ფრონტი.** მდგომარეობა უცვლელია.

მოკავშირეთა მოქმედება. ინგლისს-საფრანგეთის ფრონტი: ინგლისს-საფრანგეთის ჯარები სდევნიან უკან დახეულ გერმანელთა ჯარებს. გადასცდენ აშიე-ლეპტი-ბაპომ-ტრონსლუა-პერნის ხაზს. სომას სამხრეთით ფრანგთა ჯარებმა გადაჰლახეს ნესლ-პირკასის ხაზი. უაზის სამხრეთით ფრანგებმა დაიჭირეს კერლეპონი, ნუვსონი და სუასონის ჩრდილოეთის მაღლობები. ამნაირად, ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა დაიჭირეს 75 ვერსის სიგრძე და 20 ვერსის სიღრმე მანძილი.

მესოპოტამია. ინგლისელები განაგრძობენ ოსმალთა დევნას. დამარცხებულთა ჯარის ნაწილი მაგრდება სამარის რაიონში. ინგლისელებმა აიღეს ბაკლუბა, მდ. დიალაზე.

## ბრძოლა ზღვაზე

**ლონდონი,** 6 მარტი. ოფიციალი. დღეს, 12 ს. 45 წ. დილით, მტრის რამდენიმე კონტრ-ნაღმოსანი მიუახლოვდნენ კენტრის ნაპირებს და რამდენიმე ქალაქს ზარბაზნები დაუშინეს. ადამიანთა მსხვერპლი არაა. ნივთიერი ზარალიც ნაკლებია. ყუმბარით დანგრეულია ორი სახლი.

**ლონდონი,** 6 მარტი. საადმირალო იუწყება: 4 მარტს მტრის კონტრ-ნაღმოსნები დაესხნენ რამსგეტს. ზარბაზნების დაშენის უმალ სწრაფად გაბრუნდნენ. მათ უკან დაედევნენ ჩვენი საზღვაო ძალები. მტრის ზოგიერთი გემი შეებრძოლა ჩვენსას. ერთი ჩვენი გემთაგანი, რომელიც ლამანშისკენ მიეშურებოდა განსაკუთრებულ განკარგულების შესასრულებლად, მტრის გამოშვებულ ნაღმით დაღუპულ იქმნა. ჩვენი კონტრ-ნაღმოსანი შეებრძოლა მას. ბრძოლის შედეგი არ ვიცით. 8 ჯარისკაცი გადარჩენილ იქმნა. დანარჩენი აფიცრობა უკვალოდ დაგვეკარგნენ.

## გემების დაღუპვა

**ლისაბონი,** 6 მარტი, ოფიციალი. თევზით სავაჭრო 4 გემს გერმანეთის წყალქვეშები თავს დაესხნენ და დაღუპეს. თევზი გერმანელებმა წაიღეს. ერთი მეთევზე მოჰკლეს, სამი დასჭრეს, 100 ტყვედ წაიყვანეს.

## არეულობა ბალტიის ფლოტში

**პეტროგრადში.** 6 მარტი. ბალტიის ფლოტში 3 მარტს დიდი არეულობა მოხდა. არეულობა გაუგებრობამ გამოიწვია. მეზღვაურთა ნაწილი სრულის ნდობით ეკიდებოდა ფლოტის ამირბარს ნეპენინს, მეორე ნაწილი კი უნდობლობას უცხადებდა. არეულობა დიდს ხიფათში აგდებდა, რადგანაც ზღვიდან პეტროგრადს მხოლოდ რუსეთის ბალტიის ფლოტი სდარაჯობს. ამის გამო საგანგებოდ გაგზავნეს დეპ. თ. ი. როდიჩევი, მ. ი. სკობელევი. იუსტიციის მინისტრი ა. თ. კერენსკი ტელეფონით გამოელაპარაკა მეზღვაურებს და გადასცა: რუსეთის ფლოტი დემოკრატიისა და რუსეთის თავისუფლებისათვისაა საჭირო და დაუყოვნებლივ შეჩერეთ არეულობა. ამირბარმა ნეპენინმა, როგორც უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსმა, საჯაროდ აღიარა დროებითი მთავრობა და მას მთელი ფლოტის შემადგენლობა დიდის ნდობით უნდა ეკიდებოდესო. ტელეფონში მოლაპარაკე მეზღვაურთა დეპუტატმა კერენსკის განუცხადა: მეზღვაურები ახალ მთავრობას ემხრობიან და სთხოვენ ფლოტის მებრძოლი ძალა გააძლიეროთო.

4 მარტს ადგილობრივ მივიდნენ დეპუტატები, მოედანზე დიდი მიტინგი გამართეს და წესიერება აღადგინეს. არეულობის დროს ფლოტის შტაბი თავის მოქმედებას განაგრძობდა.

არეულობამ იმსხვერპლა ფლოტის ამირბარი ნეპენინი, რომელიც 4 მარტს მოჰკლეს. დაჭრილ და დახოცილ მეზღვაურთა რაოდენობას არკვევენ. ფლოტის უფროსობა ჩაიბარა უფროსმა ადმირალმა.

წესიერება აღდგენილია.

## ახალი ამბავი

◆ **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ დაესწრონ კრებას, რომელიც გაიმართება ქართული კლუბის დარბაზში, პარასკევს, 10 მარტს, საღამოს 8 საათზე.**

◆ **პრეზიდიუმის არჩევა.** 7 მარტს, საღამოს, ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის კომისრებად აირჩია: ნოე ჟორდანია, ა. ი. ხატისოვი და დ. მ. პოპოვი.

◆ **ტფილისის ქალაქის თვითმართველობას** აუარებელი მისასალმებელი და თანაგრძნობის დეპეშები მოსდის ახალი რეჟიმის გამეფების გამო. სხვათა შორის როსტოვის მოსწავლე ქალები იწერებიან, რომ მზათა ვართ ჩამოვიდეთ ჩვენს სამშობლოში და საორგანიზაციო მუშაობაში ჩვენი წვლილი შევიტანოთო.

◆ **პოლიცმეისტრის დატუსაღება.** თბილისის ყოფილი პოლიცმეისტერი ზდანოვსკი დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს.

◆ **თბილისის პოლიცმეისტრის** თანამდებობა გაუქმებულ იქმნა და თბილისის მილიციის უფროსად დანიშნულ იქმნა პოდპორუჩიკი ა. კოგანი.

◆ **ყარსი.** ჯარისკაცებს დაუტუსაღებიათ: კომენდანტი, გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და პოლიცია. დროებით კომენდანტად ჯარს აურჩევია პოლკოვნიკი კამიშევი. მოქალაქეთ აურჩევიათ 9 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელმაც უნდა განაგოს ადმინისტრატიული საქმეები. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ნაფიცი ვექილი ზამოევი.

◆ **თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის კომისარებმა** აცნობეს ამიერ კავკასიის 43-ს ქალაქს, რომ თბილისში უკვე შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც საადმინისტრაციო ფუნქციებს ასრულებსო. კომიტეტს ზურგს უმაგრებს თბილისის ჯარები და ქალაქში მშვიდობიანობა ასიროო.

◆ **ახალ მთავრობის განკარგულებით** დაიკეტა ყველა მაგარ სასმელების სავაჭროები. დაკეტილია აგრეთვე საუფლისწულო ღვინის უდიდესი საწყობი. მიუხედავათ სასტიკი თვალყურის დევნებისა და რესტორან-სასადილოების დაჩხრეკისა, ზოგიერთი ვაჟბატონები მაინც თავისას არ იშლიან და უკანა კარებიდან კვლავაც განაგრძობენ სასმელების ყიდვას. ზოგიერთმა საწყრილმანო დუქნებშიაც კი გააჩაღა ღვინით ვაჭრობა. ასმევენ ათას ქურდ-ბაცაცებს და მით ხელს უწყობენ ძარცვა-გლეჯას. საჭიროა სასტიკი თვალ-ყურის დევნება განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებში.

◆ **დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია.** 8 მარტს თბილისში დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია მოახდინა მე-218 სათადარიგო პოლკმა. ეს პოლკი დილიდანვე დაიძრა თავისი ყაზარმებიდან (ავლაბარშია) და მიხეილის პროსპ. ჩავიდა. ჯარებს წინ მიუძღოდნენ მათი უფროსები, ვინაიდან ამ პოლკში ამ ჟამად 15 ათას კაცამდე ირიცხება, პოლკი რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი და თითოულ ნაწილში რამდენიმე წითელი დროშა ფრიალებდა შემდეგის ზე-წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!". პოლკს თანდათან უერთდებოდა სხვა ჯარების ნაწილები და დიდძალი ხალხი განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა. ნაშუადღევის 1—2 საათზე იმ ქუჩებში, საცა დემონსტრაციამ გაიარა, ზღვა ხალხი იყო. ჯარებში ცხენოსნებიც იყვნენ, რომელნიც წესრიგს იცავდნენ. გარდა ამისა ყველა მოქალაქე თავის თავს მოვალედ სთვლიდა წეს რიგი სავსებით დაეცვა, ამის გამო ყველა იმ ადგილებში, საცა დემონსტრაციამ გაიარა, იოტის ოდენადაც წესიერება არ დარღვეულა. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე დემონსტრაცია ერევნის მოედანზე გამოჩნდა. ხალხით გაიჭედა მოედანი, ასე რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა. აქ რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა და ხალხი მშვიდობიანად და მხიარულად დაიშალა.

## ახალ საქართველოს.

ჩრდილოეთის ცივ გულში აინთო ჩირაღდანი სიხარულისა..

ყინულის ჩაფხუტი დაადნა დიდებულს სარუსეთოს... ახხივდა გაზაფხული..

და ჩვენი გაზაფხულიც შორეულს საყინულეში ჰყავთ დამწყვდეული დაველით..

და თვითეულს ჩვენგანს, ვისაც საქართველო სიზმრადაც არ გაჰშორებია, სიხარულით აღევსო გულის ბუშტები. —სიხარულის ელვა განგვეწონა გულს. ნათდება მხედაბნელებული საქართველო..

მზისიერი ქვრივი დედოფალი, რომელსაც ოდესმე მოთვალ-მარგალიტული ჯუბა აშვენებდა, დღეს ძაძით შემოსილი თეთრს ზამბახებს შემოივლებს საგრაგნელად.. დღეს მოისვენებენ ის თავჩაქნეიანი გმირები, რომელნიც შუაღამის ბინდში გამოდიან არაგვ-ალაზნის ჭალებში და გულსაკლავად მოგვძახიან: რა უყავით გვირგვინოსნება თქვენი, რა უყავით საყდარი თქვენი!..

დღეს იგინი მოსკვნებულნი დაუბრუნდებიან საფლავს თავისას და არვინ შეაწუხებს მათ, აღარ ამოჰყრიან მათ ძვლებს და არ ჩასძახებენ სიტყვას საუღიაროს...

ოღონდ არა გვესმენია ძახილი არწივისა, ოღონდაც არ შეგვიმოსია ჯერედ შარავანდედი შუადღის მცხინვარე მზისა, მაგრამ მზიური ღმერთი, ოქროფრქვეული ბურთი, მოსცურავს ელვარე—სუზიანის ბინდში და ჯანღი ვერღა შეაჩერებს მას..

მე გამეცხადა ლანდი სამებისა:—

შოთა, ვაჟა და ბარათაშვილი, ხმალ ალვარებულნი, თეთრ მერანზე თქარათქურით დაეშვნენ მთაწმინდის ქვიშიან ბილიკზე—ზათქით და ზრიალით მოჰკროდენ ღვთიური მხედარნი საქართველოსნი.

ხოლო მეტეხის გუმბათის გარს, მზის ციმციმივით თვალშეუდგამი ასული თეთრი საკრამონგით ცას შეჰხაროდა ლოცვად ფრქვეული.

მესმოდა კვნესა და მესმოდა სიტყვაც სიხარულისა!

და იტყოდა იგი: „ნათლითა შენითა მე ვიხილე ნათელი, და აუარებდეთ სახელსა შენსა, რამეთუ შვენიერ და წმიდა არს".

განვიცადენ იგი გამოჩვენება და სული ჩემი აღივსო ამპარტავნებით.

„ქებით შევამკოთ მოწამეთა მიერ ქებული,
ჩვენია ღმერთი—ჩვენს ტაძარში განცხადებული.
აუარებდეთ მისა წმიდა სახსენებელსა,—
პირიმზიანი—უკვდავებად მოვლინებული!
ერთად შემოკრბით ენოვანი, გინა წყლიერი,
ერთად შემოკრბით სამუსიკოდ ყველა მქებელი,—
ზათქი და ზამი გაადიდეთ მისაგებელი!
ერთად შემოკრბით დედოფლისთვის მსპარაზნობელი,
ეღირსეთ ხილვას და იყავით მისი მცნობელი..
მისი ღიმილით დაამშვენეთ თქვენი სიცოცხლე!.
თვალთა სხივებმა გაანათონ ბნელი სამსხვერპლო,
რომელსაც მტვერი და ნაცარი დიდხანს ჰხლებია;
რომელსაც ქვები—ოდესმე თუ შეჰვერცხლებია
და დღეს: უცეცხლო, უსიმღერო ესრედ გებულა!
შეიბ მახვილი წელთა შენთა, ქართლოსიანო,
ხმალი ორპირი გვეპყრას ხელთა მის დასაცველად.!
აჰა, უფალმან აღაშენოს მცხეთა ძლიერი
და შემოჰკრიბოს ნათესავი ქართლოსიანი!..
და სიმღერებით მოვიდიან თარშის ნავები—
რათა მამული განადიდონ მზის უკვდავებით!..
ამომავალი მზე გწყალობდეს!.
მზით გაიხარე!

**გოგლა ლეონიძე.**

## ქართველის საფლავი ქალაქ რიაზანში

1909 წლის იანვრის მეორე ნახევარში მერგო წილად ცრემლების ფრქვევით მოვშორებოდი სამშობლო მხარეს და გადმოვსახლებულიყავი ჩრდილოეთისაკენ. 28 იანვარს მივაღწიე ჩემთვის საცხოვრებლად დანიშნულ ადგილს. ეს იყო რიაზანის სამების მონასტერი. დიდხანს ვერ მოვახერხე მონასტრის ღირს შესანიშნავ ადგილების დათვალიერება. გადატანილ მოგზაურობის და სულიერი ტანჯვის გამო დაავადმყოფებული ჩამაგდეს ნესტიან სენაკში და ექიმის მოწვევის ნებასაც დიდხანს არ მაძლევდნენ. ამის გამო ჩემი ავადმყოფობა გაგრძელდა მთელი თვე ნახევარი. პირველ ხანებში, ჩემთან შემოსვლის ნებას არავის აძლევდნენ მონასტრის ხაზინადრის მღვდელმონაზონის ბასილის გარდა. თავისუფლად სიარულის ნებაც არ მქონდა—არამც მონასტრის კედლების გარეთ, არამედ მონასტრის ეზოშიაც. ამას დაერთო ზამთრის სისასტიკე და დიდი თოვლიც და ამის გამო ვიყავი გამოკეტილი ჩემ ნესტიან სენაკში.

დადგა გაზაფხული და მომეცა შეძლება სხვათა შორის სამონასტრო სასაფლაოს დათვალიერებისა. მოხსენებულმა ხაზინადარმა, რომელიც სეირნობის დროს მუდამ ჩემთან უნდა ყოფილიყო, მიმითითა ერთ საფლავზე და მითხრა, რომ იქ მარხია საქართველოს დედოფალიო. ამან გამაკვირვა და გავეშურე იქითკენ და მართლაც ვნახე ქართული წარწერა. აღმოჩნდა, რომ იქ დასაფლავებულია არა დედოფალი, არამედ დედოფლის მხლებელი.

საფლავზე დადგმულია თლილი ქვისაგან გაკეთებული ძეგლი $2^1/_2$ არშინის სიმაღლისა. ძეგლს წინა მხარეზე აქვს ამნაირი ქართული წარწერა: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს მტვერი საქართველოს დედოფლის მხლებელის მარიამისი, რომელიცა აღსრულდა 22 აგვისტოსა ყვა წელსა ოცდა მეთვრამეტისა წლისა შობითგან".

მეორე მხარეზე კი იკითხება ამნაირი რუსული წარწერა: „Подъ симъ камнемъ покоится прахъ Грузинской царицы фрейлины дѣвицы Марiи, скончавшейся 22 августа 1821 года на 38 году отъ рожденія".

დანამდვილებით ძნელია თქმა, რომელი დედოფლის მხლებელი უნდა ყოფილიყო განსვენებული მარიამი, რადგან რუსეთში გადასახლებულნი იყვნენ ორი ქართლის დედოფალი: მარიამი, მეუღლე უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-სა და დარეჯანი, მეუღლე მეფე ირაკლი მეორისა.

მარიამი გაგზავნეს ქალაქ ვორონეჟში (арх. акты, II, 113) და ეს სასჯელი გენერალ ლაზარევის მოკვლისათვის შემდეგში შეუცვალეს ბელგოროდის (კურსკის გუბერნიაში) დედათა მონასტერში დამწყვდევით. მასთან იყვნენ: ოთხი ვაჟი შვილი (ჯიბრაილი, ილია, ოქროპირი და ირაკლი) და ორი ქალიშვილი (თამარი და ანა). 1811 წელს მონასტერში დამწყვდევისაგან განთავისუფლებულ იქმნა და დაბინავდა მოსკოვში, სადაც გარდაიცვალა 30 მარტს 1851 წ. დასაფლავებულია მცხეთის ტაძარში (პლ. იოსელიანი. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა გვ. 302).

დედოფალი დარეჯანი მოაშორეს სამშობლო მხარეს 1804 წელს, მიიცვალა პეტროგრადში 1807 წ. 8 ნოემბერს (პროფ. ცაგარელი. Свѣдѣнія о пам. Груз. словесности т. I, вып. III, 286) და დასაფლავებულ იქმნა ალექსანდრე ნეველის მონასტრის ხარების ეკლესიაში,—იმ საფლავში, რო-

მეორეც 1796 წელს განთავისუფლდა იმპერატორი პეტრე III-ს გვამის საიმპერატორო საძვალეში გადატანის შემდეგ (პლ. იოსელიანი ხს. თხზ. გვ. 299).

დედოფალ მარიამის მხლებლებში, რომელნიც გაჰყვნენ მას რუსეთში არ იხსენიება არც ერთი მარიამი (Акты II, 77), დარეჯანის მხლებლებში მოხსენებულია ამ სახელით ორი მხლებელი (სხ. 107).

რიაზანის სამების მონასტრის ახლო, სამონასტრო კედლების გვერდით, გადიოდა ის ერთად ერთი დიდი შარაგზა, რომელიც იმ დროს სამხრეთ რუსეთიდან მიიმართებოდა მოსკოვისაკენ. შესაძლებელია, დედოფლის მხლებელი 1821 წელს ბრუნდებოდა სამშობლოში, აქ, რიაზანში, უწია საწყალს სიკვდილმა და ბედმა არ არგუნა ენახა თავისი სამშობლო, რომ მშობლიური მიწა დაჰყროდა გაცივებულ გულ-მკერდზე.

ჩემ რიაზანში ყოფნის დროს ერთად-ერთ ნუგეშად მიმაჩნდა ამ საფლავთან მისვლა და მთელი საათობით ჯდომა, რადგანაც აქ ვგრძნობდი, რაღაც მშობლიურს და ვნუგეშობდი უსაზღვრო ოცნებებით. აქ ხშირად ფიქრებში გართულს ცრემლებიც კი ვერ შემეკავებია. იფიქრებდა კი უცხოეთში სიკვდილის წინ საცოდავი მარიამი, რომ ოდესმე მის საფლავს ნახავდა ვინმე ქართველი, მშობლიურ ენაზე საუკუნო ხსენებას შეუთვლიდა და სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებული ცრემლებსაც დაღვრიდა ამ საფლავთან?!

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ რუსეთში იყვნენ აგრეთვე იმერეთის დედოფლებიც: მარიამ, მეუღლე მეფე სოლომონ მეორისა, ვატია დადიანის ასული, რომელიც გადასახლდა რუსეთში 1811 წ., მიიცვალა 18 მარტს 1841 წელს და დასაფლავებულია პეტროგრადში (ცაგარელი, იქვე, გვ. 288) და დედოფალი ანა, მეუღლე მეფე დავითისა, მიიცვალა მოსკოვში 1836 წ. და დაეფლა დონის-მონასტერში.

**არქიმ. ამბროსი.**

## წერილი ჯავახეთიდან

ჯავახეთის ახალქალაქიდგან, დაახლოვებით 25 ვერსის მოშორებით, ტაფარავანად წოდებულების პირად, ს. რადიონოვკაში მოსახლეობენ დუხობორები. პირველად რომ ვნახე ეს სოფელი, ჩემი თავი შუა რუსეთში მეგონა, არავითარი გავლენა არც ადგილმდებარეობის თავისებურობისა, არც მკვიდრ მცხოვრებთა მათ ჯერ ოდნავადაც არ ეტყობათ. ისეთივე სახლები, ისეთივე რუსული ფეჩები, შჩი, ქაში და დიდი სამოვრები, როგორიც სჩვევიათ მათს წინაპრებს თავიანთ სამშობლოში.

მართალი უნდა ითქვას, ადგილმდებარეობა რადიონოვკას ძალიან მიყრუებული აქვს და თუ განგებ საგულიგულოდ არ წახვედი, გზათ მას თავისდღეში ვერ მოხვდები. მიუხედავად ამისა, მთავრობის მოწყალე თვალი არა სტოვებს მათ უყურადღებოთ არც ამ მივარდნილ ალაგასა და ბევრნაირი დახმარებით და საგანგებო ყურადღებით საგრძნობლად წინა სწევს მათს ეკონომიურ მდგომარეობასა. ახალქალაქის მაზრაში ბევრგან არ შემხვედრია, რომ გლეხებს ისე კარგად ჰქონდეთ დაყენებული სოფლის მეურნეობა, როგორც ამ დუხობორებსა აქვსთ. რადგანაც ადგილმდებარეობა ძალიან მაღალია, კლიმატიური პირობები ხელს არ უწყობენ აქაურ მეურნეს ბევრი რამ ფასიან მცენარეების გაშენებაში. ჭირნახულებში მარტო ქერი თუ შეიძლება თამამად სთესონ, თორემ სხვა რამე მათ ხელს არ მისცემთ. მაგრამ ბუნების ეს ერთგვარი ნაკლი მთლად ნაზღაურდება მშვენიერ ალპიურ მცენარეებით შეხავერდებულ მთის ფერდობებით. უხვ საძოვრის გარდა, ეს მთები იძლევა საკმარის და ნოყიერს თივას, ზამთარში საქონლის გამოსაკვებად. აქაური თივა პირველის ხარისხისაა და ბევრად არ ჩამოუვარდება თავის ქიმიურ შემადგენლობით ზოგიერთ კონცენტრიულ საკვებ მასალასაც კი. ეს კარგად შეუგნიათ ეხლანდელ პატრონებს ამ ადგილებისას და აკი იყენებენ კიდეც. არც ერთი ოჯახი არ მეგულება მათში, რომ ოცამდე მაინც კარგი ჯიშის ძროხა არა ჰყავდეს. ზოგს კიდევაც მეტი ჰყავს; აქვთ საკუთარი სეპარატორები და სხვა რაციონალურ მეურნეობისათვის საჭირო ინვენტარი. ამზადებენ კარგ თვისებების კარაქს, ყველს და ერთბაშად ჰყიდიან ზოგჯერ ისეთ მსხვილ მრეწველებზე, როგორც ჩიჩკინია და სხვა.

თქმა არ უნდა, თავიანთ ცხოვრებით კმაყოფილნი არიან და განა ეთქმით კია რამე? სარჩოსაბადებელი უხვად აქვთ და ბევრად უკეთეს დ სცხოვრობენ მათს მეზობლად მცხოვრებ სომხებზე.

მიუხედავად ასეთის დოვლათისა, ჯერ კიდევ მაინც არ მიუხწევიათ იმ მდგომარეობამდე, რომ შეჰქმნათ თუნდაც ისეთი ღირს-შესანიშნავი რამ, როგორიც არის მათ სოფელ შუა ამართული ძველი შენობები. დღესაც გაკვირვებით შეჰყურებენ რადიონოვკელი დუხობორები ჯერ კიდევ უვნებლად მდგომ კედლებს ძველი შენობებისას. დროთასვლას ყველაფერი მოუსპია, ყველას ჰირი წაუღია, ეკლესია დაცალიერებულია, მაგრამ ვეებერთელა კლდეებისაგან ნაცადი და ძლიერი ხელით ამართული საყდრის კედლები ჯერ კიდევ მტკიცედ მოწმობენ წარსული დროის სიდიადეს. ვინც უნდა იყვეს და რა საქმისთვისაც უნდა იყვეს აქ უცხო მომსვლელი, უეჭველად მიაქცევს ყურადღებას ამ შენობებსა. მცხოვრებნი ყველა ერთსა და იმავეს ამბობენ, რომ აქ ოდესღაც ქართველებს უცხოვრიათ და ეს ეკლესიაც იმათი აშენებულიაო. უნებლიეთ აღეძვრის კაცს სურვილი იცოდეს ძველად აქ მყოფ სოფლისა და მცხოვრებთა ვინაობა. ვინ იცის, იქნებ წინათ აქ უფრო ბევრი მოსახლეობდა და უფრო კმაყოფილადაც, ვიდრე ახლანდელი დუხობორები. თუ ესე არა, მაშ რითი უნდა აიხსნას, რომ რადიონოვკის მისასვლელში ერთი პატარა საყდარია და იქვე ცოტა მაღლობზე მეორე უფდიდი და ლამაზად ნაშენი. პირველიდან თურმე, როგორც მითხრეს დუხობორებმა, ტბის ქვეშ გაყვანილია გვირაბი და არ ვიცით კი, სადა თავდებაო. მეორე საყდრის გარშემო ბევრი გრძელი ლოდებია და უთუოდ სასაფლაოს მოაგონებს. უფრო საყურადღებოა იქვე ცოტა მოშორებით ეგრეთვე მკვიდრად აშენებული ქარვასლა. ეჭვი არ არის, რომ ერთი ხანისა არიან ეს ქარვასლა და საყდრები. არხიტექტორული სტილის ერთგვარობა გვარწმუნებს ამაში. ქარვასლა სიგძეზე იყოფა სამ ნაწილად: აქეთ-იქით მთელი რიგი ცალ-ცალკე სავაჭრო ოთახებია, შუაში კი ფართე გზა. ეტლითაც კი შეიძლება ქარვასლაში ამ გზით შესვლა.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ აქ ვაჭრობაც კარგად განვითარებული ყოფილა. ამოდენა ქარვასლაში, ცხადია, ვაჭრებიც ბევრი იქნებოდნენ და მუშტრებიცა, ასე რომ ცხოვრება მაშინ უფრო ძლიერად ყოფილა აქ გამოხატული, ვიდრე ამ ჟამად არის.

დიდის ისტორიულის განცდის ბრალია უეჭველად, რომ იმ ძლიერად გამოხატულ ცხოვრებას ეხლა მხოლოდ კედლების ნანგრევები-ღა ჰმოწმობს. ხოლო მომავალში აღარც ესენი იქნებიან. მათი დამზოგავი აქ არავინ არის. ეკლესიებს დუხობორებისთვის არაფერი სიწმიდე არა აქვთ და არც მათი ისტორიული მნიშვნელობა მიაჩნიათ რადმე. ქარვასლა კიდევ თურმე სოფელმა გამოსთხოვა ხაზინას საკუთრებად და კერძო პირს მიჰყიდა შენობა მაღალის ფასად. უკანასკნელი-კი საჭიროებისა დაგვარად თანდათანობით აცლის სხვა და სხვა ადგილებზე კოხტათ გამოყვანილ თლილ ქვებსა.

**გ. ო—ძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 | „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |




მიიღება ხელის მოწერა

# სანდრო შანშიაშვილის თხზულებაზე

26 წიგნი

## გამოვა შემდეგის სერიით:

ლექსები.
1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. ხვედა მამულისადმი,
4. ბალი ხევდისა,
5. ხაგალობელნი,
6. წიგნი ხიმღერებისა,
7. სულამიტ, სამიჯნურო ჰანგები
8. საბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.
9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების სხარეს,
11. ლანდები,
12. ორფეუს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.
15. მედია და მშვენიერი ელენე,

დრამატიული პოემები.
16. ქალი გრძნეული,
17. მეფე მგოსანი,
18. ბერდო ზმანია,
19. ივერიკო,
20. შვების თავადი,
21. უგვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

თარგმნები.
23. ფაუსტ გიოტესი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—ხა,
26. უცხო ლირიკა.

**ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.**

ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუ ნად დაეთმობათ.

**მთავარი მისამართები თბილისში:** წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს“ რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის“ კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული

(601—4) გამომცემელი **ნარდონი.**

## ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ ხუთშაბათს ცხრა მარტს საღამოს 9 ს. დანიშნულია

# წლიური კრების

**გარძელება.** განსახილველია: მიმდინარე კითხვენი და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. (1—608—1

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის იუმორისტულ ჟურნალ

# „ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს. (უ.)

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

# ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები

## სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა დ აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

**წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ ნახევარია (3—50).** სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—7)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული **სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის** წვნით და მასთანვე

## სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

„საქართველოს“ კანტორა

## სთხოვს ხელის მომწერლებს კეთილ ინებონ და ათ მარტამდე შემოიტანონ ხვედრი ფული

ექიმი კბილისა

## ე. ივ. ბაღარჯაშვილი-მათეშვილისა

**იღებს ავადმყოფებს:** დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. **ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის** კუთხე № 20.

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

## ივანე თიკანაძე

**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.** მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

**იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ**

საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა **მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**გოლოვინის პრ. და ხამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანჯნოვისა).

**მოსკოვის ხაზინის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი** დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება**

ექიმი

## ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. **მისამართი:** პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

## მ. ი. ვარნაძე

იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

## მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. **მისამართი:** ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანტონის ძე

## კალანდარიშვილი

**უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.**

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს იღებს** ოლღას ქ. № 3.

## თევზის მრეწველნი

# ძმ. ძიძიგურები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვილ**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მოშოჩნა**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.

# სუსუნატით (გონორეა) ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას**, ჰაჰების და სხვ.

## რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

## იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

**მეორედ,** იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

**მაგრამ** ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „**ურიტალი**“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

## ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისათვის საჭიროება ექვსი ფლაკონი და ძველებული ათი ფლაკონი სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и справками обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ** Государственнаго Банка.


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4